აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 56

17 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

ბლოკი „ძლიერი აჭარა ერთიანი საქართველოსთვის" პარტიული სიით წარმოდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის ალექსანდრე რუხაიას საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" კანონის მე-13 მუხლის და 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ვადგენ:

მუხლი 1. ბლოკი "ძლიერი აჭარა ერთიანი საქართველოსთვის" პარტიული სიით (№16) წარმოდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს ალექსანდრე რუხაიას საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდეს და ამოღებული იქნეს პარტიული სიიდან.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) ხელმოწერიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა